



სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის 2021 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების
ანგარიში


ზუგდიდი
2021 წელი

2021 წელი ისევე როგორც 2020 წელი გამოწვევებით იყო სავსე პანდემიის გამო. მეტად მნიშვნელოვანი იყო თადარიგის დროულად და გონივრულად დასაჭერი იმის თაობაზე, თუ რომელი პროფესიული პროგრამის მოდულების სწავლის შედეგების გადისტანციურება რა დოზით იქნებოდა შესაძლებელი. იყო რისკი იმისა რომ დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის არაფექტურად წარმართვისას გამოუსწორებელი ზიანი დამდგარიყო, რაც გამოიწვევდა როგორც სტუდენტების, ასევე პედაგოგების გადინებას. პროფესიული განათლების სასწავლო უნივერსიტეტში ავტორიზებული/მოქმედი პროფესიული პროგრამების გათვალისწინებით, როგორც ზუგდიდის ასევე სენაკის ბაზაზე პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ვაწარმოეთ კომუნიკაცია და მივიღეთ მიახლოებითი სურათი რომლითაც შესაძლებელია ორიენტაციის გაკეთება საჭიროებისა და ზემდგომი უწყებებიდან ნებართვის გაცემის შემთხვევაში როგორ უნდა იქნეს წარმართული სასწავლო პროცესი, პროგრამების/მოდულების/სწავლის შედეგების მიხედვით მოვახდინეთ იდენტიფიცირება დისტანციური სწავლების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. 2021 წლის 1 მარტამდე გაგრძელდა სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში კორექტირებული სასწავლო ინდ.გეგმებით, კორექტირებული ვადებით. 15 თებერვალს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიეწოდა ინფორმაცია უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების შესახებ დისტანციურ რეჟიმში სწავლის პირობებში.

მტკიცებულებები: სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 18 იანვრის 01-01/02 ბრძანება, 29 იანვრის 01-01/05 ბრძანება, 11 თებერვლის 01-01/10 ბრძანება, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 27 იანვრის სამსახურებრივი ბარათი 34853, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 15 იანვრის სამსახურებრივი ბარათი 34853, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

პროფესიული განათლების განვითარების სამსახურმა 2021 წლის მიღების პროცედურები უზრუნველყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №42/ნ ბრძანების. ხოლო ჩარიცხვის პროცედურებამდე უზრუნველყო შიდა რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა. შერჩევის პროცედურები ჩატარდა ძირითადად პირისპირ რეჟიმში რეგულაციების დაცვით, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში გასაუბრება წარიმართა დისტანციურად.

2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021 წელს სულ ჩაირიცხა 380 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 161 სენაკის (პირველადი ჩარიცხვა 156, მეორადი 5,), ხოლო 219 (პირველადი ჩარიცხვა 205, მეორადი 9, შშმ სტატუსის მქონე პირი-5) ზუგდიდის ბაზაზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული განრიგის შესაბამისად. სულ აქტიური პროფესიული სტუდენტი წლის განმავლობაში სულ 926, მათ შორის 636 აქტიური სტუდენტი წლის ბოლოს, წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა რაოდენობა 166- , სტატუსშეჩერებული-71, ხოლო სტატუსშეწყვეტილი 53 (მათ შორის სტატუსის შეჩერებიდან ვადის გასვლასთან დაკავშირებით 23 პირი). განთესვის მაჩვენებელი შეადგენს 13,39 %



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 19 ივლისის „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ №48/ნ ბრძანებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2021 წლის 20 ივლისის MES 0 21 0000726836 წერილის საფუძველზე სამსახურის ინიცირებით დამტკიცდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“, სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 მარტის № 215081 და 2021 წლის 19 თებერვლის 213263 ბრძანებების საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის განხორციელდა ცვლილება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში: „ბუღალტრული აღრიცხვა“ , „საოფისე საქმე“ , „საფინანსო სერვისები“ „საექთნო საქმე“ „ფარმაცია“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ „მეფუტკრეობა“ „მემოსტნეობა“ „ინფორმაციის ტექნოლოგია“ „ელექტროობა“ „შედულება“ „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად დოკუმენტებსა და დანართებში და განისაზღვრა მათი ამოქმედების თარიღები.

2021 წელს განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის „მეფუტკრეობის“ მოდულური მიდგომით გასახორციელებელი პროგრამის ფარგლებში მოპოვებული 20 ადგილიდან 10 ადგილის გადუალურება, პარტნიორი ორგანიზაციის მოთხოვნისა და შესაბამისი

მიზანშეწონილობის საფუძველზე. აღნიშნული უფლება მოპოვებულ იქნა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით.

გადამტკიცდა არსებული შიდა რეგულაციების დუალური მიდგომით გასახორციელებელი პროგრამებისთვის. კერძოდ:

1. „აპლიკანტთა კონკურისის წესით შერჩევის დებულება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში“
2. „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი“
3. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ .

სამსახურის ინიციატივითა და შესაბამისი მიზანშეწონილობის საფუძველზე შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურმა ასაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „საექთნო საქმისა“ და „ვეტერინარიის“ უმაღლეს და „მეფუტკრეობის“ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გაზრდილიყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა. კერძოდ:

- ა) „საექთნო საქმის“ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სენაკის ბაზაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა 20-ით (3 წლის განმავლობაში სულ 60 პროფესიული სტუდენტი);
- ბ) „ვეტერინარიის“ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა 15-ით (3 წლის განმავლობაში სულ 45 პროფესიული სტუდენტი);
- გ) „მეფუტკრეობის“ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა 20-ით (2 წლის განმავლობაში სულ 40 პროფესიული სტუდენტი);

2021 წელს შემუშავებულ იქნა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები:

ა) დადასტურების გზით:

1. „დეკორატიულ მცენარეთა დაცვის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა
2. „მცენარეების დაცვა ბოსტანსა და ბაღაში“ პროფესიული გადამზადების პროგრამა
3. „ელექტრომემონტაჟს“ პროფესიული მომზადების პროგრამა
4. „ლითონების შედუღება აიროვან გარემოში“ პროფესიული მომზადების პროგრამა

ბ) უფლების მოპოვების გზით:

1. „შინმოვლის სპეციალისტის“ პროფესიული მომზადების პროგრამა
2. „შინმოვლის სპეციალისტი-ექთანის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა
3. „კორპუსული ავეჯის დურგლის“ პროფესიული მომზადების პროგრამა
4. „რეგიონული ტურის მეგზურის“ პროფესიული მომზადების პროგრამა (აღნიშნული პროგრამის უფლება მოპოვებულია და მიმდინარეობს სასწავლო პროცესის დაგეგმვა

ზემოაღნიშნული პროგრამები წარდგენილია ცენტრში დადასტურების ან უფლების მოპოვებაზე.

ხარისხის სამსახური კარიერის მართვის ცენტრთან და პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით ახორციელებს კვლევებს შემდეგ პლატფორმაზე:

პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის შეფასება

https://docs.google.com/forms/u/1/d/1JpxukTjtNqHpTs7IcTGgJ9MYVEJMxSKhLFnvs95ECX8/edit?usp=drive_web

-კურსდამთავრებულების გამოკითხვა

<https://docs.google.com/forms/d/1-Cg0-0VW36Ibt5ozwQCed4Tg5ZuSY-fq2W1z2Rtew5E/edit>

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა

https://docs.google.com/forms/u/1/d/1AuHEN3rH5PSMkLcxe7z9qv_YuaodIgrAcfaNEns_irU/edit?usp=drive_web

პროგრამის/მოდულის/მოდულების/სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ

https://docs.google.com/forms/d/1Vr3XLYonmlU478_dpD3K2avGF0MIFZ_8ISr29pkBfcI/edit

ზსსუ ზუგდიდისა და სენაკის ბაზის პროფესიული სტუდენტების მიერ online სწავლებისთვის ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კვლევა

https://docs.google.com/forms/d/1tcUkQxqZCXZdqs29T7gemkRXckTTi0xSMf03t8Y19_Q/edit

ზსსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კვლევა

<https://docs.google.com/forms/d/1chO5zSb4kIODlxwQk3kG3HNGZdYibi0coOmwb6sufP4/edit>

სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახური მუდმივად გამოხატავს მხარდაჭერას სსსმ/შშმ პირთათვის პროგრამებში ჩართვის სურვილის გამოხატვის დღიდანვე, ამისთვის უზრუნველყოფს მათთვის ხელმისაწვდომ სერვისებს საგანმანათლებლო მიზნებისთვის. პროფესიული განათლების განვითარების სამსახური შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში როგორც სსსმ/შშმ სტუდენტს, ასევე მათ მასწავლებლებს. ამ ეტაპზე კი სასწავლო უნივერსიტეტში სულ 7 სსსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტია, მათ შორის სამი სტუდენტი სარგებლობს ტრანსპორტით. რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით კონკურსის წესით აყვანილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის პოზიციაზე სულ 2 პირი, რომლებიც 2020 წლიდან ასრულებენ მოვალეობებს.

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც დეტალურად გაწერილია: პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური, რომელსაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების განვითარების სამსახური და უზრუნველყოფს შეფასების უწყისების, შეფასების მტკიცებულებების აღიკვეთასა და შენახვას სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად.

პროფესიულპროგრამებზე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით ყველა პროგრამისთვის შემუშავებულ იქნა რისკი და შესაბამისად დაიგეგმა და ხორციელდება ვერიფიკაციის პროცედურები.

როგორც თქვენთვის ცნობილია „ფარმაციის“ პროგრამამ ავტორიზაცია გაიარა გასული წლის აგვისტოს თვეში, სადაც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები პრაქტიკის არსებული ობიექტების შეფასებისა და სასწავლო პროცესის გონივრულად დაგეგმვაზე, მათ შორის ქსელური აფთიაქების თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

მიუხედავად იმისა რომ იმ დროისთვის უნივერსიტეტმა შეძლო „ავერსი ფარმას“ ქსელურ აფთიაქთან ხელშეკრულების გაფორმება წესების დაცვით, აღნიშნული რეკომენდაციები ცალსახად არის საფუძველი „ფარმაციის“ პროგრამის განხორციელებას რისკის მაღალი ქულა მიენიჭოს და ადგილზე შეფასდეს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის შესაძლებლობები.

ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის მაისის თვეში აფთიაქ ი.მ „თეონა ლოგუა“ ში და აფთიაქ შპს „მედფარმასში“. ვიზიტში ჩვენთან ერთად მონაწილეობდა იურისტი რონა პერტია.

აფთიაქ ი.მ. თეონა ლოგუაში გავესაუბრეთ მენეჯერს-თეონა ლოგუას. აღსანიშნავია რომ აღნიშნულ დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამოცდილება ჰქონდა უნივერსიტეტს, კერძოდ აღნიშნულ აფთიაქში პრაქტიკას გადიოდნენ „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიული სტუდენტები. თანამშრომლობის პერიოდში სტუდენტები იყვნენ კმაყოფილები და აღნიშნავდნენ მენეჯერის მხრიდან მაღალ პასუხისმგებლიან და კომპეტენტურ დამოკიდებულებას. თუმცა ადგილზე ვიზიტმა აჩვენა რომ იმ პრაქტიკული სწავლის შედეგების მისაღწევად რომელიც გათვალისწინებულია 2020 წელს ავტორიზებული „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, გარემო არარელევანტურია. მაგალითად მოდული „პროდუქციის მიღება-განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“ ითვალისწინებს მონაცემთა ბაზასთან მუშაობას, რომელიც ფიზიკურად ვერ ექნება მცირე ზომის აფთიაქებს, მისი ღირებულებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა რომ „ავერსი-ფარმას“ აფთიაქთან გვაქვს ხელშეკრულება და სტუდენტებს აქვთ საშუალება იქ გაიარონ პრაქტიკული კომპონენტები, აღნიშნულ მცირე ზომის აფთიაქები მოგვცემდა სტუდენტების მოქნილად გადანაწილების შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში. რაც შეეხება შპს „მედფარმას“ მას მეტი ფართი აქვს და გამონაკლის შემთხვევაში, პროცესის უწყვეტობისა და საჭიროებისას შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი მოდული რომელიც არ საჭიროებს ქსელური აფთიაქებისთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზასთან მუშაობას.

გამოიკვეთა რეკომენდაცია: „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდეს შპს „ავერსი-ფარმას“ აფთიაქებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შპს „მედფარმას“ აფთიაქში სტუდენტებისთვის დაიგეგმოს მარტივად მისაღწევი სწავლის შედეგები, მაგალითად: „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“. ვინაიდან ამ მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა აღნიშნულ აფთიაქში სრულად მისაღებია. პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა ზემოაღნიშნული რეკომენდაციის მიზანშეწონილობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა წარმოადგინა „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით 2021 წელს განხორციელებული ვერიფიკაციის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი რეკომენდაციები, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურმა სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს სწორად განსაზღვროს პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის შედეგების გადამწიგნობა სტუდენტის გამტარიანობისა და სწავლის მისაღწევი შედეგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოამზადონ შეფასების უწყისების შეცვლილი ფორმის პროექტი დასამტკიცებლად, რომელიც აღრიცხავს სწავლის შედეგების მიღწევას და არ ითვალისწინებს კრიტერიუმების მიხედვით დადასტურებას, შემუშავებულ იქნეს შეფასების მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვის მექანიზმი და ფორმები.

პროფესიული განათლების განვითარების სამსახური ორიენტირებულია რეკომენდაციების გათვალისწინებაზე და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

პროფესიული განათლების განვითარების სამსახური მუდმივად ჩართულია იმ ღონისძიებებში, რომლებსაც სასწავლო უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, სამსახურის მხრიდან საჭიროების არგუმენტირებული წერილის საფუძველზე პერსონალს და მასწავლებლებს უზრუნველყოფს ტრენინგებით და ა.შ.

1. 2021 წლის 29 იანვარი - 26 თებერვალი. ტრენინგი ჩატარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტექნიკური დახმარების მსოფლიო ბანკის პროექტის "სწავლების ხარისხის გაუმჯობესება პროფესიულ განათლებაში" ფარგლებში-გადამზადდა 2 პერსონალი
2. 2021 წლის 26 აპრილი- ტრენინგი. „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში“- განმახორციელებელი-სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი-გადამზადდა 2 პერსონალი.
3. 2021 წლის 20 -21 -მაისი- ავტორიზაციის სტანდარტების მე-4 ნაწილთან დაკავშირებით (ადამიანური რესურსები). ტრენინგის თემა: ადამიანური რესურსების მართვა პროფესიულ განათლებაში. განმახორციელებელი-სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი-გადამზადდა 1 პერსონალი.
4. 2021 წელი - „საპროექტო განაცხადების წერის უნარები“ -განმახორციელებელი-გაეროს განვითარების პროგრამა. გადამზადდა 1 პერსონალი.
5. 2021 წლის 7-8 ივნისი- .ტრენინგი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის მტკიცებულებათა მოპოვების საკითხებში.-განმახორციელებელი-სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი-გადამზადდა 1 პერსონალი.
6. 2021 წელი 1-2 ივლისი- ტრენინგი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების" ფარგლებში,განმახორციელებელი-სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი-გადამზადდა 6 პერსონალი.
7. 2021 წელი ივნისი - "თვითშეფასების პროცესის მტკიცებულებებით უზრუნველყოფა პროფესიულ განათლებაში"- განმახორციელებელი-სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი-გადამზადდა 1 პერსონალი.

ასევე პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლების შიდა ტრენინგებით

უზრუნველყოფა იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც ახალი ჩართულები არიან სასწავლო პროცესში. უზრუნველყოფილ იქნა გაფართოებული შეხვედრა პროფესიული პროგრამების პროგრამის ხელმძღვანელებთან და ინფორმირებულ იქნენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საჭირო დეტალებზე, პროფესიული განათლების განვითარების სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით გეგმავს მოდულურ/დუალურ სწავლებაში ახლად ჩართულ მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გაგრძელდეს ინტენსიური, თითქმის ყოველდღიური შეხვედრა. ამასთან გეგმავს, ინტენსიურად ითანამშრომლოს მასწავლებლის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და დააყენოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების საჭიროება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.